ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 24 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა სიჭინავა
2. იგორ გოგოლაძე
3. მალხაზ ლაგვილავა
4. კახა ლატარია
5. ფრიდონ შონია
6. ბეჟან ქირია
7. ალექსანდრე ნაჭყებია
8. გენადი ზარანდია
9. გენადი ქაძანაია
10. მალხაზ ყურუა
11. მერაბ ნადარაია
12. ედიშერ წურწუმია
13. თენგიზ აბაკელია

სხდომას თავმჯდომარეობდა გ. სიჭინავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 10 დეკემბრის N05/2115 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -13, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 10 დეკემბრის N05/2115 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ გამგეობის განმარტებით გამგეობაში შევიდა ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება ზუბის ცენტრში მდებარე კულტურის სახლის შენობაში სამლოცველოსთვის ფართის გამოყოფის თაობაზე. გამგეობის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება, გამომდინარე იქედან, რომ ზუბის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის ეკლესია, ამასთან კულტურის სახლში არის დაუტვირთავი ფართები და გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა